საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia

KA030125463559719

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/5297 **27 / მარტი / 2019 წ.**

საქართველოს ფინანსთა მინისტრის
მოადგილეს ბატონ გიორგი კაკაურიძეს

ბატონო გიორგი,

„2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის № 693 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 14 მარტის N129 დადგენილებისა და „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობისა და საშუალო შრომის ანაზღაურების განსაზღვრის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 24 იანვრის N61 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 მარტის N497 განკარგულებით „სოფლის ექიმის“ პროგრამის „პირველადი ჯანდაცვის მომსახურება სოფლად“ კომპონენტით განსაზღვრული მომსახურების ზედამხედველობის გაუმჯობესების მიზნით, სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს სამხარეო ცენტრებსა და აჭარის ა/რ ფილიალში იქმნება „სოფლის ექიმის“ კოორდინატორის პოზიცია (სულ 10 ერთეული).

აღნიშნულიდან გამომდინარე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული კოორდინატორების შრომის ანაზღაურების (ხელფასი) დაფინანსების მიზნით საჭიროა „სოფლის ექიმის“ (პროგრამული კოდი: 27 03 03 08) პროგრამის „საქონელი და მომსახურების“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნება გაიზარდოს ამავე პროგრამის „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით გათვალისწინებული ასიგნების შემცირების ხარჯზე.

გთხოვთ „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 31-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განახორციელოთ დამტკიცებულ გეგმაში ცვლილება, დანართის შესაბამისად.

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად გიორგი წოწკოლაური